# Tax and Legal Newsletter

bakertilly

## ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების თავიდან ასარიდებლად დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვების უარყოფითი შედეგების შემსუბუქების მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2021 წლის 5 იანვარს შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც ეხება საგადასახადო შეღავათების დაწესებას საშემოსავლო და ქონების გადასახადების ნაწილში, ცალკეული გადასახადის გადამხდელებისთვის გადასახადების გადავადების შესაძლებლობას, ასევე დავის განხილვის დისტანციურ რეჟიმში წარმართვას და საბაჟო პროცედურების გამარტივებას.

ცვლილებების მიხედვით:

- 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება. შეღავათი არ ვრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებსა და საწარმოებზე, რომლებშიც სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი ფლობს აქციების/წილის 50%-ზე მეტს ან/და ამ უკანასკნელის შვილობილ საწარმოზე.
- 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა პირს შეეძლება ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.
- 2021 წლის ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან თავისუფლდება ქონება, რომლის დეკლარირება 2020 ან 2021 წელსაა გათვალისწინებული და რომელიც გამოიყენება სასტუმროების და განთავსების მსგავსი საშუალებების ან/და დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების საქმიანობაში, აგრეთვე ქონება, რომელიც გამოიყენება რესტორნების და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობებში, სასმელებით მომსახურების საქმიანობებში ასევე ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების და მათთან დაკავშირებულ საქმიანობებში.
  საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება ზემოთ ნახსენებ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.
- ცვლილების თანახმად, ქონების გადასახადისგან განთავისუფლებული საქმიანობის განმახორციელებელ პირებს ეძლევათ უფლება ბიუჯეტში არ გადაიხადონ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრს/შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება მიეცა, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვადა გაუგრძელოს არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა იმ გადასახადის გადამხდელს, რომელიც ახორციელებს საგადასაახდო კოდექსის 309-ე მუხლის 115-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ

გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე ან მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში.

- ცვლილების მიღების შედეგად, შესაძლებელი გახდა, რომ გადასახადის გადამხდელებმა დისტანციურად, დავის განმხილველ ორგანოში მისვლის გარეშე მიიღონ მონაწილეობა საჩივრის განხილვის პროცესში.

## ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების შედეგად, 2021 წლის 1 თებერვლიდან დაქირავებულ პირთა რეესტრის შევსება ხდება სავალდებულო.

დამქირავებელი პირი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალზე (eservices.rs.ge) პირადი ავტორიზებული გვერდიდან შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე/შეწყვეტამდე/შეჩერებამდე შეავსოს დაქირავებულ პირთა რეესტრი, სადაც მიეთითება დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაცია.

დამქირავებელი პირის მიერ დაქირავებული ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაციის არასწორად განსაზღვრა, იწვევს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

ცვლილების მიხედვით, დამქირავებელი პირი ვალდებულია 2021 წლის 1 მარტამდე „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ელექტრონულად ასახოს 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაცია.

მონაცემთა ახალი ბაზის ფორმირება ითვალისწინებს, დაქირავებულ პირთა შესახებ, სრულყოფილი ინფორმაციის თავმოყრას. რეესტრის შექმნა შესაბამისობაშია ასოცირების შეთანხმებასთან.

# სხვა საკანონმდებლო სიახლეები

## ცვლილებები იზოლაციისა და კარანტინის წესებში

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #323 დადგენილებაში შესული ცვლილებებით უქმდება რიგი შეზღუდვებისა, კერძოდ:

- მოიხსნა მგზავრთა საერთაშორისო საჰაერო გადაყვანაზე დაწესებული აკრძალვა. ამასთანავე, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული პირებისთვის იზოლაციის პირობები განისაზღვრა შემდგეი სახით: ა) უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ნებისმიერი პირი (მოქალაქეობის მიუხედავად) ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის (ორი დოზა) დამადასტურებელი დოკუმენტის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში არ ექვემდებარება იზოლაციას/თვითიზოლაციას. სხვა შემთხვევაში მათ საზღვრის კვეთისას უნდა წარადგინონ საქართველოში ვიზიტამდე უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი საბუთი და საზღვრის კვეთიდან მე-3 დღეს უზრუნველყონ საკუთარი ხარჯით PCR ტესტის ჩატარება; ბ) უცხოეთიდან ჩამოსული საქართველოს მოქალაქე საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის ნეგატიური პასუხის წარმოდგენის შემთხვევაში, სურვილისამებრ, დაექვემდებარება 8-დღიან თვითიზოლაციას (თვითიზოლაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – საკარანტინე სივრცეში გადასვლას) ან მე-3 დღეს სავალდებულო PCR ტესტირებას საკუთარი ხარჯით, ხოლო საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ტესტის არქონის შემთხვევაში – ექვემდებარება 8-დღიან სავალდებულო თვითიზოლაციას (თვითიზოლაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – საკარანტინე სივრცეში გადასვლას);
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირებაზე დაწესებული შეზღუდვა ნაწილობრივ მოიხსნა შემდეგი ადმინისტრაციული ტერიტორიებისთვის: ბათუმის, გორის, ზუგდიდის, ფოთის და თელავის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შაბათ-კვირის გარდა დასაშვები გახდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა;
- დასაშვები გახდა ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ზუგდიდში ქ. ფოთში და ქ. თელავში საქონლის როგორც საცალო, ისე საბითუმო

რეალიზება მომხმარებლის სარეალიზაციო სივრცეში დაშვებით, გარდა შაბათი და კვირისა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასაშვები გახდა კვების ობიექტების/რესტორნების/ბარების კაფეების ფუნქციონირება გარე სივრცეში სტუმრების მიღებით, თუმცა მათ კვლავ ეკრძალებათ სოციალური ღონისძიებების მასპინძლობა;


**Contact information**

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge



This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.